Project is funded by the European Union

ქალების საჭიროებების და პრიორიტეტების კვლევა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში

სოციალურ მენიერებათა ცენტრი

ლელა გაფრინდაშვილი, უფროსი მკვლევარი
ნანი ბენდელიანი, უფროსი მკვლევარი
მარიამ ამაშუკელი, მკვლევარი

გაეროს ქალთა ორგანიზაციის/ევროკავშირის პროექტი "ინოვაციური ინიციატივა გენდერული თანასწორობისათვის" (IAGE)

ანგარიში

დეკემბერი, 2013

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (*UN Women*) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება წარმოადგენს.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს ხუთ ძირითად მიმართულებაზე აკეთებს: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში.

ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და წახალისებას.

ამ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს.

პუბლიკაცია მომზადდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) პროექტის „ინოვაციური ინიციატივა გენდერული თანასწორობისათვის“ ფარგლებში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) 2013

სარჩევი

რეზიუმე 4

შესავალი 6

დემოგრაფიული ცვლადები: სქესი და ასაკი 8

რესპონდენტების ეკონომიკური მდგომარეობა დასაქმების სტატუსის, პირადი/ოჯახის საერთო შემოსავალებისა და სამომხმარებლო დანახარჯების მიხედვით 9

საოჯახო მეურნეობების შეფასება: სიღარიბისა და სიღატაკის, მოხმარების დონის, საცხოვრებელი პირობებისა და ინფრასტრუქტურის შეფასება; სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის და ძირითადი საჭიროებებისდადგენა 18

ჯანმრთელობის შეფასება 29

გენდერული დამოკიდებულებები და სტერეოტიპები, ტრადიციული ნორმები, ოჯახური კონფლიქტები, ქალის მიმართ ძალადობა და ქალების ემოციური მდგომარეობა 34

რეკომენდაციები 41

ბიბლიოგრაფია 43

კითხვარი 44

რეზიუმე

წინამდებარე კვლევა შეეხება საქართველოს მაღალმთიან რეგიონში მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების კვლევას. მონაცემების შეგროვება განხორციელდა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში 400 ინდივიდი [259 ქალი და 141 კაცი] გამოიკითხა სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთისა და აჭარის მაღალმთიან რეგიონებში. გამოკითხულთა რაოდენობა საქართველოს მთიან რეგიონებში მოსახლე მთელი პოპულაციის რეპრეზენტატულ შერჩევით ერთობლიობას წარმოადგენს. ქალების სოციალური საჭიროებების და პრობლემების სპეციფიკის გათვალისწინების მიზნით, თვისებრივი კვლევის ფარგლებში სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით გამოკითხული იქნა იმავე რეგიონებში მცხოვრები, სხვადასხვა ასაკის, ქორწინების მდგომარეობის და სამუშაო სტატუსის მქონე 40 ქალი.

რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, დასაქმება და არასაკმარისი შემოსავალი გამოვლინდა, როგორც ყველაზე მწვავე პრობლემა საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისთვის. გამოკითხული ქალებისა და კაცების მხოლოდ 22% არის დასაქმებული ანაზღაურებად სამსახურში. რაც შეეხება, ოჯახის საერთო შემოსავლებს, უმრავლესობისთვის [36%] ის 250 ლარამდე აღწევს, ხოლო ოჯახის ძირითად წყაროდ პენსიები და სახელმწიფო დახმარება სახელდება [51%]. შესაბამისად, რესპონდენტთა უმრავლესობა [34%], ნომერ პირველ საჭიროებად სამსახურის მოძიებაში დახმარებას აღნიშნავს. ზევით აღნიშნული ფინანსური სიდუხჭირის ფონზე, ვინაიდან მთიან რეგიონებში მეტად გავრცელებულია გაზით მომარაგების პრობლემა, რესპონდენტთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა [92%] ზამთარში გასათბობად იყენებს შეშას, რაც თავის მხრივ, ოჯახებისთვის დამატებითი ფინანსური ხარჯია.

კვლევის რესპონდენტთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა, რომ ყველაზე მეტად გავრცელებულია გულთან დაკავშირებული პრობლემები [67%], საყრდენ-მამოძრავებელ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები [46%] და ასევე, მხედველობის პრობლემა [40%].

ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულ მამრობით რესპონდენტებთან შედარებით, მნიშვნელოვნად მცირეა იმ ქალთა რაოდენობა, რომელიც უძრავ ქონებას ფლობს [60%/34%], რაც, თავის მხრივ, მემკვიდერობის პრობლემასთან არის დაკავშირებული - როგორც კაცების [50%], ასევე ქალების [39%] უმრავლესობის აზრით ოჯახის მემკვიდრეობა ვაჟს უნდა გადაეცეს. ზოგადად, გენდერული სტერეოტიპები დომინანტურია მთის მოსახლეობაში, რომელიც ქალის სოციალურ ადგილს ოჯახში განსაზღვრავს, მაშინ, როდესაც კაცისთვის სახლის გარეთ ანაზღაურებადი შრომა და ბიზნესის მართვა მნიშვნელოვნად პრიორიტეტულია.

1. შესავალი

ქალების საჭიროებების და პრიორიტეტების კვლევა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში წარმოადგენს საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ქალების სოციალური საჭიროებებისა და პრიორიტეტების ზოგად შეფასებას, რომელიც შესრულდა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაკვეთით - კვლევა შერულდა 2013 წლის სექტემბიდან ამავე წლის დეკემბრის ჩათვლით.

კვლევამ მოიცვა საქართველოს ოთხი რეგიონის მთიანი ნაწილი - სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი,აჭარადა მცხეთა-მთიანეთი.გამოყენებული იქნა, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდი- ნახევრადსტუქტურირებული კითხვარის საშუალებით გამოიკითხა 400 ადამიანი, მონაცემები გაანალიზებული იქნა აღწერითი სტატისტიკის გამოყენებით. თვისებრივი მონაცემების შეგროვება განხორციელდა 40 სიღრმისეული ინტერვიუს საფუძველზე.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შერჩეული რეგიონების მაღალმთიანი სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობის, განსაკრებით ქალთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების შეფასება შემდეგი მიმართულებით:

- ეკონომიკური მდგომარეობა - შემოსავალი, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, დასაქმება;
- საოჯახო მეურნეობების შეფასება, სიღარიბისა და სიღატაკის, მოხმარების დონის, საცხოვრებელი პირობებისა და ინფრასტრუქტურის შეფასება, სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის და ძირითადი საჭიროებების დადგენა;
- ჯანმრთელობის შეფასება;
- გენდერული დამოკიდებულებების და სტერეოტიპებისგამოვლენა ;

რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენს ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც შეიქმნა კავკასიის ბარომეტრის 2012 წლის კითხვარის, [1] გაეროს

[1] კავკასიის ბარომეტრი, 2012 წლის კითხვარი.

განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის 'ეკონომიკური და სოციალური დაუცველობა საქართველოში' 2013 წლის ანგარიშისა[2] და 'ჯანმრთელობისა და სოციალური საჭიროებების კვლევის' 2003 წლის ანგარიშის მიხედვით[3]. რაოდენობრივი კვლევის გენერალურ ერთობლიობას წარმოაგენდა აღნიშნული რეგიონების მთის სრულწლოვანი მოსახლეობა [18+] როგორც ქალები, ასევე კაცები - სულ 262, 914 მოსახლე. კვლევის შერჩევითმა ერთობლიობამ მოიცვა 400 რესპონდენტი [134 ქალაქის, ხოლო 266 სოფლის მოსახლე [400 რესპონდენტიდან 259 ქალი კაცი იქნა გამოკითხული, 141 კაცი]. მონაცემთა სტატისტიკური ცდომილება არ აღემატება 4%.

თვისებრივიკვლევის შემთხვევაში განისაზღვრა, რომ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ქალების საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე დაკვირვებისათვის საჭირო იყო კვლევაში მონაწილეობა მიეღოთ ქალებს რომელთა პრობლემები და შეხედულებები შესაძლოა განსხვავდებოდეს ასაკის, ქორწინების, დასაქმების და სოციალური სტატუსის მიხედვით. აქედან გამომდინარე,კვლევისთვის შერჩეული40 რესპონდენტი განაწილდა შემდეგ კატეგორიებში:

- დაოჯახებული 1-2 შვილიანი ქალი უმუშევარი(5რესპოდენტი);
- დაოჯახებული 1-2 შვილიანი ქალი დასაქმებული (5 რესპოდენტი);
- დაოჯახებული მრავალშვილიანი ქალი (5 რესპოდენტი);
- განქორწინებული ქალი შვილით/შვილებით (5 რესპოდენტი);
- ქვრივი ქალი (5 რესპოდენტი);
- დაუოჯახებელი გოგონა/ქალი 16-25 ასაკობრივი ჯგუფის (5 რესპოდენტი);
- დაუოჯახებელი ქალი 45 წლის და ზემოთ (5 რესპოდენტი);
- ქალი, რომელიც უვლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს ან მოხუცს (5 რესპოდენტი);

---

http://www.crrccenters.org/store/files/documentation/CB2012%20questionnaire%20Geo%20with%20varnames%2028022013.pdf [ნანახია 7 სექტემბერს, 2013 წ.]

[2]ფრანჩესკა გასმანი, *et al;* ეკონომიკური და სოციალური დაუცველობა საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა, 2013 წ.

[3]Caerphilly Health & Social Needs Study,Gwent Health Authority Caerphilly County Borough Council, 2003http://www2.nphs.wales.nhs.uk:8080/hiatdocs.nsf/1f8687d8da97650980256fa30051b0be/3110f0c1d7fb13268025738b002f977a/$FILE/20071105_CaerphillyStage3_DF_MJW_V2a.pdf [ნანახია 7 სექტემბერი, 2013 წ.]

თვისებრივმა კვლევამ მოიცვა შემდეგი რაიონები:

1) ლენტეხის რაიონი (სოფლები: ხელედი, ბაბილი);
2) მარტვილის რაიონი (სიფელი გურძემი);
3) აჭარა, (დაბა ქედა, სოფელები: ვაიო, ეკნარა);
4) ამბროლაურის რაიონი (ამბროლაური, სოფელები: სადმელი, ძირაგოული);
5) ცაგერის რაიონი (სოფლები: ორბელი, ლაილაში);
6) მესტიის რაიონი;
7) თიანეთის რაიონი;
8) დუშეთის რაიონი.

2. დემოგრაფიული ცვლადები: სქესი და ასაკი

გამოკითხული 400 რესპონდენტიდან 65%-ს ქალი, ხოლო 35%-ს კაცი შეადგენს. გამოკითხული ქალების უმრავლესობა [73%] 55-64 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ერთიანდება, კაცი რესპონდენტების უმრავლესობა [45%] კი 45-54 წლის კატეგორიაში. დიაგრამა 2 აჩვენებს, რომ 55 წლის ზევით გამოკითხულთა შორის მნიშვნელოვნად იკლებს მამაკაცების რაოდენობა - მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში მამაკაცების რაოდენობა 30%-ზე ნაკლებს შეადგენს.

დიაგრამა 2.1. რესპოდენტთა სქესი



დიაგრამა 2.2 სქესის განაწილება ასაკობრივ ჯგუფებში



3. **რესპონდენტების ეკონომიკური მდგომარეობა დასაქმების სტატუსის, პირადი/ოჯახის საერთო შემოსავალებისა და სამომხმარებლო დანახარჯების მიხედვით**

დასაქმება და არასაკმარისი შემოსავალი გამოიკვეთა როგორც ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისთვის. ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებულია მამაკაცების და ქალების დაახლოებით ერთნაირი პროცენტული რაოდენობა, თუმცა, უფრო მეტი კაცია ეკონომიკურად აქტიური და ეძებს სამსახურს, ხოლო ქალები საშინაო საქმის შესრულებით კმაყოფილდებიან.

გამოკითხულთა დიდი ნაწილი [29%] არის პენსიონერი, მხოლოდ 22% არის დასაქმებული ანაზღაურებად სამსახურში. რესპონდენტების 16% დაუსაქმებელია და ეძებს სამსახურს. თვითდასაქმებული რესპონდენტების შემთხვევაშიც კი მხოლოდ 3% აცხადებს, რომ აქვს ფულადი შემოსავალი, როდესაც 15%-ს საერთოდ არ აქვს შემოსავალი. აღნიშნული მონაცემები საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ცალ-ცალკეა წარმოდგენილი ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებულები, თვითდასაქმებულები, რომლებსაც ფულადი შემოსავალი აქვთ, დაუსაქმებელი ადამიანები, რომელიც არ ეძებენ სამსახურს და

დაუსაქმებელი, ეკონომიკურად აქტიური ადამიანები, რომლებიც სამსახურს ეძებენ. აღნიშნული კატეგორიების ნაწილს თუ დავაჯგუფებთ, მივიღებთ, რომ გამოკითხულთა 37% დაუსაქმებელია, ან დასაქმებულია ფულადი შემოსავლის გარეშე. გენდერულ ჭრილში თუ განვიხილავთ აღნიშნულ მონაცემებს, უფრო მეტი ქალი [34%] ვიდრე კაცი [21%] აღმოჩნდა პენსიონერი. თანაბარი რაოდენობა გამოკითხული ქალებისა [22%] და კაცების [22%] არიან დასაქმებულები ანაზღაურებად სამსახურში. თვითდასაქმებულთა შორის ფულადი შემოსავალი აქვს კაცების 6% და ქალების მხოლოდ 1 %-ს. უფრო მეტი კაცი ეძებს სამსახურს [23%], როცა დაუსაქმებელი ქალების მხოლოდ [12%] ეძებს სამსახურს. ქალების 10%დაკავებულია არა ანაზღაურებადი საქმით სახლში (უვლის ოჯახის წევრებს, ასრულებს სახლის საქმეს).

დიაგრამა 3.1 დასაქმება [დასაქმების ძირითადი სტატუსი]



გამოკითხულთა უმრავლესობისთვის [40%] ყოველთვიური პირადი შემოსავალი 150 ლარამდეა, რაც ნაკლებია საქართველოში დადგენილ საარსებო მინიმუმზე. საარსებო

მინიმუმი 2013 წლის ნოემბრის მონაცემებით შეადგენდა თვეში 150.8 ლარს. [4] რესპონდენტების 28% აცხადებს, რომ საერთოდ არ აქვს პირადი შემოსავალი (იხ. დიაგრამა 3.2). ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი რესპონდეტების 36%-სთვის 151 ლარიდან 250 ლარამდე აღწევს, ხოლო რესპონდენტების 34%-ისთვის კი 251-400 ლარს შეადგენს (იხ. დიაგრამა 3.2).

დიაგრამა 3.2 პირადი შემოსავალი



[4] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საარსებო მინიმუმი http://www.geostat.ge/?action=page&p_id=178&lang=geo

დიაგრამა 3.3. ოჯახის შემოსავალი



დიაგრამა 3.4 ოჯახის საერთო დანახარჯი გასული თვის მანძილზე



ოჯახების 37%-ისთვის გასული თვის საერთო დანახარჯმა 250 ლარზე ნაკლები შეადგინა, 30%-ისთვის იგივე მაჩვენებელი დაახლოებით 400 ლარზე ნაკლებს შეადგენს [დიაგრამა 3.4]. რესპონდენტების 51% -ისთვის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს პენსია და სახელმწიფო დახმარებები. რესპონდენტების 34% აცხადებს, რომ მათი ძირითადი შემოსავალი არის ყველა ოჯახის წევრის ხელფასის ჯამი, იმ თანხის გამოკლებით რომელსაც ოჯახი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით შოულობს. რესპონდენტების მხოლოდ 10% ყიდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და აქვს ფულადი მოგება [დიაგრამა 3.5]. თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ თუ ოჯახს აქვს პენსიის გარდა სხვა ყოველთვიური შემოსავალი (მცირე ბიზნესი, სოციალური დახმარება ან საჯარო სექტორის ხელფასი), მაშინ პენსიონერი საკუთარ საჭიროებებს (წამლები, პირადი მოხმარების ნივთები) ახმარს ამ თანხას. მაგრამ იმ ოჯახებში, სადაც პენსია ერთადერთი შემოსავალია, იგი აუცილებელი პროდუქტების შეძენას ხმარდება (პურის ფქვილი, მარილი, შაქარი):

„ბაბუაჩემი თავის პენსიას თვითონ ანაწილებს, ისიც არ ერევა გადასახადებში, დედაჩემს აქვს დაახლოებით 150 ლარი ხელფასი, მე 135 ლარი, დათას მოემატა პენსია და აქვს 100 ლარი. მე და მზია (დედაჩემი) ერთად ვხარჯავთ... / ქალი, ქვრივი, დასაქმებული, 42 წლის/.

„უკეთესი იქნებოდა, რომ დაესაქმებინათ ხალხი. ზოგი მუშაობს, სამსახურიდან, ოჯახიდან ერთი მაინც, მაგრამ ზოგი ისეა, რომ მარტო პენსიაზე და სოციალურზე არის დამოკიდებული. ზოგს სოციალურიც არ აქვს და მარტო პენსიაზეა. და პენსია რამდენ რამეში უნდა გეყოს. აი, არის ხოლმე, რომ სოციალური გაქვს, მაგრამ თუ სტუდენტი არის, იმას არ ეძლევა. მე უფრო მჭირდება ახლა სახლში მყოფს, თუ სტუდენტს?“ / ქალი, დაუოჯახებელი, სკოლის მოსწავლე, 16 წლის/.

დიაგრამა 3.5 ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო



გამოკითხული რესპონდენტებიდან კაცების 44% დაქალების 53%-ს არასდროს უსარგებლია საბანკო სესხით და არც ამჟამად სარგებლობენ. რესპონდენტი ქალების და კაცების თანაბარი რაოდენობა [43%] აცხადებს, რომ მათ არასდროს შექმნიათ პრობლემა საბანკო სესხის დაფარვასთან დაკავშირებით. კაცი რესპონდენტების 5% და ქალების 2% ამბობს, რომ მათ აქვთ აღებული სესხი და არ აქვთ მისი დაფარვის საშუალება. კაცი რესპონდენტების 7% და გამოკითხული ქალების 2%-ს დაუფარავს სესხი, მაგრამ არ ქონდათ დაკისრებული თანხის დროულად გადახდის საშუალება.

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მაღალმთიან რეგიონებში ქალების ეკონომიკური სტატუსი დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე:

- სოციალური დახმარებები, პენსია;
- ქალის დასაქმება საჯარო სექტორში/კერძო სექტორში;
- შინამეურნეობაში მოწეული პროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავლები;
- ოჯახის წევრი მიგრანტის მიერ გამოგზავნილი თანხა;
- ოჯახის წევრის/წევრების დასაქმება საჯარო სექტორში/კერძო სექტორში;;
- ნათესავის მიერ ქალის ან ქალის ოჯახის დასახმარებლად გაღებული ფინანსური ან სხვა სახის დახმარება;

- მოკლევადიანი საბანკო კრედიტები;

გამოკითხული ქალების უმრავლესობა მნიშვნელოვან უძრავ ქონებას არ ფლობს. ისინი მამისეულ ან მეუღლის სახლში ცხოვრობენ და მესაკუთრეებად არ განიხილებიან. ისინი არ განასხვავებენ ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა „ოჯახის შემოსავალი“ და „ქალის შემოსავალი“, „ოჯახის ქონება“ და „ქალის ქონება“. ქალების დიდი ნაწილი საკუთარ შემოსავალს ანაწილებს არა პირადი სარგებლობისთვის, არამედ ოჯახის სხვა წევრთა საჭიროებებისთვის. დაოჯახებული ქალებისთვის მთავარია შვილების კეთილდღეობა (სწავლა, ოჯახის შექმნა, კომფორტი სახლში და საზოგადოებაში) . დაუოჯახებელი ქალები და გოგონებიც ეკონომიკური აქტიურობის მთავარ დანიშნულებას ოჯახის სხვა წევრთა (მშობლები, ძმის ოჯახი, დედმამიშვილები) პრობლემების მოგვარებას, საჭიროებათა დაკმაყოფილებას და კეთილდღეობას უკავშირებენ .

თვისებრივი კვლევის მიხედვით, რესპონდენტების დიდი ნაწილი აღნიშნავდა მოკლევადიანი კრედიტებით სარგებლობის გამოცდილება. ოჯახის ყოველთვიური შემოსავლების სიმცირის გამო, ძირითადად ქალებს გამოაქვთ სახელფასო მოკლევადიანი სესხები (პურის ფქვილის, შეშის შესაძენად) და გრძელვადიანი სესხები შვილების საჭიროებებისთვის (ბიზნესის წამოწყება, ქორწინება, ავტომობილის ან ბინის შეძენა), რომელსაც წლების მანძილზე ისტუმრებენ. თვისებრივმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული სამომავლო განწყობები ქალების უმრავლესობისთვის ბუნდოვანია. ამ სფეროში ისინი მნიშვნელოვან გაუმჯობესებას არ ელოდებიან და მიაჩნიათ, რომ დიდად არაფერი შეიცვლება და საერთო, საოჯახო შემოსავლები არ გაიზრდება.გრძელვადიან პერსპექტივაში ქალებს შვილების დასაქმების იმედი აქვთ. საკუთარ, პერსონალურ კეთილდღეობას, ემოციურ სტაბილურობას და კმაყოფილებას სწორედ მათ წარმატებას უკავშირებენ. მარტოხელა ქალები კი მთელს იმედებს ოჯახის სხვა წევრთა, ნათესავთა ფინანსურ კეთილდღეობაზე ამყარებენ.

ქალები/გოგონები მიიჩნევენ, რომ რეგიონის, ოჯახების, მოქალაქეების ეკონომიკური სტაბილურობის და განვითარების მთავარი გარანტორი სახელმწიფო უნდა იყოს. სწორედ სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს დასაქმების, რეგიონის განვითარების სტრატეგია და

შესთავაზოს მაღალმთიანი რეგიონის მაცხოვრებლებს, მათ შორის ქალებს, რომლებმაც პოსტსაბჭოთა პერიოდში ოჯახების გადამრჩენის როლი შეასრულეს. ისინი მიიჩნევენ, რომ შეუძლიათ და დიდი სურვილი აქვთ ხელი შეუწონ ადგილობრივი მეურნეობის, ტურიზმის, ქალების ბიზნეს გააქტიურების, ქალების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გაძლიერების პროცესს.

ქალების/გოგონების უმრავლესობისთვის განათლება მნიშვნელოვანი ღირებულებაა. მშობლები, ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ცდილობენ შვილებს ტექნიკური ან უმაღლესი განათლება მისცენ. ამ მიზნით ისინი აგროვებენ ოჯახის შემოსავლებს და შვილებს ეროვნული გამოცდებისთვის ამზადებენ. თუმცა, ხშირია ახალგაზრდების მიერ სწავლის შეწყვეტა იმის გამო, რომ ოჯახმა სწავლის საფასური ვერ გადაიხადა. ეს, ცხადია, უფრო ნაკლებად ეხებათ იმ სტუდენტებს, რომელთაც 50%, 70% ან 100% სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვეს. ასეთ შემთხვევაში მშობლები საბანკო კრედიტებს ან პროდუქტების გაყიდვის შედეგად მიღებულ სახსრებს იშველიებენ და ცდილობენ, რომ შვილებს სასწავლებელი დაამთავრებინონ.

რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებენ, რომ მთის რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობას [ქალების 56% და კაცების 53%] უმაღლესი ან პროფესიული განათლება აქვს მიღებული და სქესის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღინიშნება.

დიაგრამა 3.6 განათლება



თუმცა, თვისებრივი მონაცემების მიხედვით, პრობლემაა დასაქმება განათლების შესაბამისად - ქალაქიდან ოჯახში დაბრუნებული გოგონები ერთვებიან საოჯახო საქმიანობაში, იშვიათად საქმდებიან რაიონულ ცენტრებში განლაგებულ ვაჭრობის, კვების ობიექტებში და ყველაზე იშვიათად საჯარო სამსახურში: სოფლის სკოლა, საბავშვო ბაღი, კულტურის სახლი, საკრებულო, გამგეობა.

რეგიონებში, მეტწილად, არაფერი კეთდება „უწყვეტი განათლებისა“ და იმ ქალების პროფესიულიგადამზადებისთვის, რომელთა პროფესიები თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნადი არ/აღარ არის,- ეს საკითხი სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტს არ წარმოადგენს. მეტად შეძლებული ქალები ან ფინანსურად გამართული ოჯახისშვილი გოგონები თავად ახერხებენ კვალიფიკაციის ამაღლებას ან ისეთი პროფესიების შეძენას, რომლებიც მათი დასაქმების შანსებს ზრდის; მაგალითად, საბუღალტრო საქმე, კომპიუტერი, ინგლისური ენა, ბიზნესთან დაკავშირებული უნარები, არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბება და პროექტების წერა.

გამოკითხული ქალების და გოგონების უმრავლესობა მიესალმება მაღალმთიან რეგიონებში ისეთი პროგრამების, პროექტების განხორციელებას, რომელიც მათ კონკურენტუნარიან პროფესიებს, ცოდნას შესძენს და დასაქმებაში დაეხმარება. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ტრენინგები, საგანმანათლებლო პროგრამები, გადამზადების კურსები მათი უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომი არ არის, ამიტომ მიაჩნიათ, რომ ამ ტიპის ღონისძიებები უფრო მასშტაბური და გრძელვადიანი უნდა იყოს.

4. საოჯახო მეურნეობების შეფასება: სიღარიბისა და სიღატაკის, მოხმარების დონის, საცხოვრებელი პირობებისა და ინფრასტრუქტურის შეფასება; სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის და ძირითადი საჭიროებებისდადგენა

დასაქმების და შემოსავლების მაჩვენებლები მიუთითებს, რომ მაღალმთიანი მოსახლეობის უმრავლესობა ეკონომიკურ პრობლემებს და შეჭირვებას განიცდის. იმავეს მიუთითებს საოჯახო მეურნეობის შეფასების როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მონაცემები.

გამოკითხულთა 86% სასოფლო-სამეურნეო მიწას ფლობს. მიწის მესაკუთრედ რესპონდენტთა უმრავლესობა [44%] საკუთარ თავს ასახელებს, რომელთაგან 60% არის კაცი,ხოლო 34% - ქალი. მოსახლეობის 60%-ს ყავს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი [ძროხა, კამეჩი, ხარი..], 58%-ს ასევე ყავს შინაური ფრინველი [ქათამი, ინდაური.]

დიაგრამა 4.1 სასოფლო სამეურნეო მიწის მესაკუთრეობა



დიაგრამა 4.2გვიჩვენებს, რომ მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის 40%-ს ფული ყოფნის მხოლოდ საკვებზე, ხოლო 44%-ს საკვების შესაძენადაც კიარ ყოფნის. მოსახელობის 26% ფულს საკვების შესაძენადყოველთვე სესხულობს, ხოლო 7% ყოველ კვირას [იხ. დიაგრამა 4.3]. თვისებრივი კვლევის შედეგების თანახმად, საოჯახო შემოსავლების დიდი ნაწილი იხარჯება კვების პროდუქტებზე, წამლებზე, განათლებაზე, საოჯახო ტექნიკის შეძენაზე, ნათესავური კავშირების და რელიგიური/ტრადიცული რიტუალების ორგანიზებაზე (ქელეხი, ქორწილი, დღესასწაულები).

დიაგრამა 4.2 ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა - შეფასება



დიაგრამა 4.3 გააჩნია თუ არა ოჯახს საკმარისი თანხა საკვების შესაძენად



რესპონდენტების 34%-ისთვის ყველაზე სასურველი და საჭირო დახმარება არის მათთვის სამსახურის მოძიებაშიდახმარების გაწევა. რესპონდენტების 20%-ისთვის კი მნიშვნელოვანია ჯანდაცვის პროგრამებში ჩართულობა და სხვადასხვა დახმარებების მიღება ჯანდაცვის კუთხით.რესპონდენტების 16% კი საჭიროებს სახლის პირობების და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

დიაგრამა 4.4 პირველ რიგში სასურველი დახმარება



ინფრასტრუქტურულ საკითხებთან დაკავშირებით რესპონდენტთა უმრავლესობა - 81% აღნიშნავს, რომ აქვს ბუნებრივი გაზით მომარაგების პრობლემა. შესაბამისად, რესპონდენტთა 92% ზამთარში გასათბობად იყენებს შეშას, რაც თავის მხრივ, ოჯახებისთვის დამატებითი ფინანსური ხარჯია. მხოლოდ 6% თბება გაზის გამათბობლით, ხოლო 1% - ელექტროღუმელის საშუალებით.გამოკითხულთ 74% უკმაყოფილოა საკუთარი სახლის გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობით, რადგან დასაქმებაზე/დასაქმების შესაძლებლობებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა აქვთ.

აღნიშნული მძიმე სოციალური პირობების ფონზე, რესპონდენტების 38% არ სარგებლობს არანაირი ფინანსური დახმარებით, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის არის განკუთვნილი, თუმცა აცხადებს საჭიროებს მას. რესპონდენტების 5% აღნიშნავს, რომ არ ღებულობს პენსიას, რომელიც ეკუთვნის, 8% მიუთითებს, რომ საჭიროებს

შეზღუდული/განსაკუთრებული უნარების მქონე ადამიანებისთვის განკუთვნილ დახმარებას. ასევე, რესპონდენტების 13% კი ამბობს, რომ არ სარგებლობს ჯანდაცვის სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამით, მაგრამ ესაჭიროება - რაც აღნიშნული პროგრამის არასაკმარის ცნობადობაზე მიუთითებს.

ცხრილი 1. სოციალური დახმარებებით, სერვისებით სარგებლობა

ფულადიდახმარებასოციალურადდაუცველიოჯ ახებისთვის	ვსარგებლობ	22%
	არ ვსარგებლობ, მაგრამ მესაჭიროება	**38%**
	არ მესაჭიროება	41%
პენსია	ვსარგებლობ	48%
	არ ვსარგებლობ, მაგრამ მესაჭიროება	5%
	არ მესაჭიროება	47%
სახელმწიფოსმიერდაფინანსებულიჯანმრთელო ბისდაზღვევა	ვსარგებლობ	80%
	არ ვსარგებლობ, მაგრამ მესაჭიროება	**13%**
	არ მესაჭიროება	7%
შეზღუდული/განსაკუთრებულიუნარებისმქონე პირთათვისგანსაკუთრებულიდახმარება	ვსარგებლობ	1%
	არ ვსარგებლობ, მაგრამ მესაჭიროება	8%
	არ მესაჭიროება	91%
სოციალურიმუშაკისდახმარებაოჯახურიკონფლ	ვსარგებლობ	%

იქტისანსოციალურიპრობლემებისდროს	არ ვსარგებლობ, მაგრამ მესაჭიროება	2%
	არ მესაჭიროება	98%
საბავშობაღითქვენიშვილის, ან შვილებისთვის	ვსარგებლობ	6%
	არ ვსარგებლობ, მაგრამ მესაჭიროება	3%
	არ მესაჭიროება	91%

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 91%-იდან, რომელიც აცხადებს, რომ საბავშვო ბაღი არ ესაჭიროება, 6 წლამდე შვილი ჰყავს მხოლოდ 16%. საბავშვო ბაღების საჭიროების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე ფაქტორი: სოფლის დასახლებაში, ურბანული დასახლებისგან განსხვავებით, საბავშვო ბაღი არ წარმოადგენს ბავშვის სოციალიზაციის ერთადერთ საშუალებას - ამ ფუნქციას ასევე თანასოფლელთა და ნათესავების ოჯახები ასრულებენ. ასევე, სოფლების უმრავლესობაში ბავშვები საკმაოდ ადრე ერთვებიან საოჯახო შრომაში. ეს შრომა შეიძლება არ იყოს მძიმე, ფიზიკური სამუშაო, მაგრამ შინამეურნეობაში მცირე ადგილი უჭირავს: საქონლის საბალახოდ გარეკვა, შინაური ფრინველის დაპურება, წყაროს წყლის მოტანა, სამუშაოდ გასული მშობლებისთვის საკვების მიტანა, მოხუცთან დროის გატარება, ნათესავთან ან მეზობელთან გაგზავნა და ა.შ. გასათვალისწინებელია ასევე საბავშვო ბაღების კეთილმოწყობის საკითხი, რომელიც პრობლემატურია რეგიონებში. სწორედ ამ არგუმენტებს შესაძლოა გამოკითხულთა მიერ საბავშვო ბაღების საჭიროების გაუცნობიერებლობა.

დიაგრამა 4.5. მიგრაცია



თვისებრივი მონაცემების მიხედვით, ქალების მიგრაციას ქვეყნის გარეთ გამოკითხული ქალების უმრავლესობა უარყოფითად აფასებს, რადგან თვლის, რომ ეს არის ოჯახების ნგრევის, შინ დარჩენილი შვილების ფსიქოლოგიური/ემოციური პრობლემების, მიგრანტი

ქალების დეპრესიის და მიგრანტი ქალების ოჯახის წევრების (განსაკუთრებით ქმრების) დემორალიზების საფუძველი. ქალები საზღვარგარეთ უფრო გრძელვადიანად მიგრირებენ და უკან არ ბრუნდებიან მაშინაც კი, როცა შვილების მომავალში საკმაოდ სერიოზული ინვესტიცია ჩადეს, თუმცა, შემდეგ უკვე შვილიშვილების ჯერი დგება. არ არის გამორიცხული, რომ ოჯახის ეკონომიკური დონორის და შვილების ფინანსური სტაბილურობის გარანტორის როლი მიგრანტ ქალებში ემოციურ კმაყოფილებას და თვითშეფასების ზრდას იწვევდეს, რის მიმღებ ქვეყანაში ყოფნა და ანაზღაურებადი შრომა ერჩივნოთ ვიდრე საკუთარ ქვეყანაშიუპერსპექტივობა - აუნაზღაურებელი და დაუფასებელი შრომა.

მამაკაცები ქვეყნის გარეთ სეზონურ სამუშაოებზე მიდიან და შინ რამდენიმე თვეში ბრუნდებიან. მათი უმრავლესობა გამომუშავებულ თანხას ისევ საკუთარი საჭიროებისთვის იყენებს და იშვიათად ახმარს ოჯახის ან შვილების საჭიროებებს.

თვისებრივი მონაცემების მიხედვით, შიდა მიგრაციის საკითხზე რესპონდენტები საუბრობდნენ შვილებთან და ოჯახის სხვა წევრებთან მიმართებაში. შიდა და გარემიგრაციული პროცესის მთავარი მიზანი დასაქმებაა, თუმცა, შრომითი მიგრაციის გარდა არის განათლების მიზნით მიგრაციაც. მაღალმთიანი რეგიონებიდან ამ მიზნით ძირითადად ქვეყნის შიგნით, ქალაქებისკენ მიგრირებენ.

სწორედ ამასთანაა დაკავშირებული საშუალო ასაკის ქალების/დედების შფოთვა, რომ ქალაქში სასწავლებლად ან სამუშაოდ წასული შვილები/ვაჟები უკან აღარ დაბრუნდებიან:
„ყველაზე ხშირად ოჯახზე და შვილებზე ვნერვიულობ პირვლ რიგში, რა თქმა უნდა, მაგრამ არა ნაკლებად ვნერვიულობ საერთო სიტუაციაზეც. ყველაზე მეტად მინდა, რომ სოციალურად უზრუნველყოფილი ვიყოთ და ჩემს შვილს არ უნდოდეს აქედან გაქცევა... გაუჩნდეთ შვილებს სურვილი, რომ იყვნენ ჩვენთან ერთად... ნეტავი რეგიონი განვითარდებოდეს, ჩვენი სოფლისთვის რამე გაკეთდებოდეს და პირადულს დავთმობ და დავდგები იქ. საერთო მდგომარეობა თუ არ გაუმჯობესდა რა აზრი აქვს."/ლენტეხი, ხელედი, ორშვილიანი დედა/

დიაგრამა 4.6. საცხოვრებელი ადგილით კმაყოფილება



ახალგაზრდებს შორის მიგრაციის სურვილის არსებობაზე მიუთითებს რაოდენობრივი კვლევის მონაცემებიც, რომლის მიხედვით 18-24 წლამდე გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში, მათ ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილს დატოვებდნენ. უფრო მაღალ ასაკობრივ კატეგორიებში მიგრაციისკენ სწრაფვა შესამჩნევად იკლებს.

თვისებრივი კვლევის შედეგების მიხედვით, გოგონებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა საკუთარ მომავალს რეგიონის გარეთ ხედავს. მიაჩნიათ, რომ ამისთვის აუცილებელია განათლების მიღება და დასაქმება. თუმცა, ამის მიღწევა, მათი აზრით, მხოლოდ თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებშია შესაძლებელი, რადგან არ არსებობს გართობის, ცოდნის შეძენის და გაღრმავების არანაირი მუნიციპალური ან საზოგადოებრივი პროგრამა. აქედან გამომდინარე, მათი უმრავლესობა არ გეგმავს საკუთარ ოჯახებში დაბრუნებას და

რეგიონის განვითარებაში წვლილის შეტანას. თუმცა, არიან ისეთებიც, რომელთაც დიდი სურვილი აქვთ ადგილზე სავაჭრო, კვების ან გართობის ობიექტები გახსნან ბავშვების, ახალგაზრდების და ქალებისათვის: *"ელემენტარული, კაფე და გასართობი ცენტრები არ არის, რომ მეგობრები შევიკრიბოთ. თუნდაც, სწავლასთან დაკავშირებული და თუნდაც, ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები. ძალიან ჭირს ინგლისურის მასწავლებელი აქ-რამოდენიმეა და ისი, ნასწავლები არ არიან. რა ვიცი... ცოტა რო განვითარდეს აქაურობა, ცოტა რაღაცა ქალაქს, რაიონს რომ დაემსგავსოს ყველაფერი და... უფრო ამას ვფიქრობ და რა ვიცი... /ლეჩხუმი, ცაგერი, დაუოჯახებელი ქალი, 16 წლის"/*

5. ჯანმრთელობის შეფასება

უფრო მეტი რაოდენობა რესპონდენტი კაცებისა [61%], ვიდრე ქალების [45%] აცხადებს, რომ მათ არ აწუხებთ რაიმე ქრონიკული დაავადება და რაიმე სახის პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. უფრო მეტი ქალი [55%], კაცებთან შედარებით [39%] აცხადებს, რომ მათ აქვთ გარკვეული ქრონიკული დაავადებები/პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით (იხ. დიაგრამა 5.1).

დიაგრამა 5.1. ქრონიკული დაავადებები და ჯანმრთელობის პრობლემები



გამოკითხულთა მხოლოდ 13% ასახელებს, თუ რომელ წელს იყო ექიმთან უკანასკნელად. აქედან უმრავლესობამ [39%] ექიმთან ბოლო ვიზიტი 2013 წლის აპრილ-ოქტომბრის პერიოდში განახორციელა, რაც ემთხვევა 2013 წლის 1 მარტიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქემდებას. რესპონდენტთა უმრავლესობა [37%] ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობას უარყოფითად ახასიათებს, მხოლოდ 29% - დადებითად.

დიაგრამა 5.2. ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება



სუსტი ჯანმრთელობის მქონე რესპონდენტთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულიაგულთან დაკავშირებული პრობლემები - 67%, მეორე ადგილზეა ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემები - 46%, ხოლო მესამეზე - მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები - 40%.

დიაგრამა 5.3. ჯანმრთელობის პრობლემები



შედეგები ცხადყოფს, რომ ყველაზე გავრცელებული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები რესპონდენტებს შორის არის გულთან დაკავშირებული პრობლემები - [64% ქალები, 45% კაცები], წელის ტკივილი [46% ქალები, 36% კაცები] და მხედველობის პრობლემები [39% ქალები, 29% კაცები]. ასევე, ქალების 26% და კაცების 18% აცხადებს, რომ მათ აწუხებთ შფოთვა და სტრესი, ხოლო ქალების 26% და კაცების 18% კი დეპრესია. აღსანიშნავია, რომ უფრო მეტ ქალს ვიდრე კაცს აწუხებს გულთან, ზურგთან და მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები და ასევე შფოთვა, სტრესი და დეპრესია.

კვლევის თვისებრივი მონაცემების თანახმად, ქალების უმრავლესობას, განსაკუთრებით კი 40 წელს ზემოთ, სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემა აქვს. მიუხედავად ჩივილებისა, ისინი ექიმს იშვიათად მიმართავენ და პროფილაქტიკურ გამოკვლევებს თითქმის არასოდეს იტარებენ. ამის მიზეზად კი ეკონომიკურ მდგომარეობას და სამედიცინო სერვისების სიძვირეს ასახელებენ.

საყოველთაო დაზღვევის პირობებში მუნიციპალურ სამედიცინო კლინიკებს, ძირითადად, შემდეგი კატეგორიის ქალები მიმართავენ: 1. საპენსიო ასაკის ქალები; 2. ქალები, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა სერიოზულად შერყეულია და ოპერაციას ან სხვა გადაუდებელ ჩარევას საჭიროებენ და 3. ქალები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილებს ან ავადმყოფ ოჯახის სხვა წევრს (მეუღლე, დედა, მამა, დედამთილი, მამამთილი) უვლიან.რეგიონულ ცენტრებში არსებული საავადმყოფოები, ძირითადად, მინიმალურ პროფილაქტიკურ გამოკვლევებს და გასინჯვებს სთავაზობენ. სერიოზული გამოკვლევებისა და დიაგნოსტირებისთვის ქალები მაინც თბილისის ან დიდი ქალაქების კლინიკებს, სპეციალიზებულ სამედიცინო ცენტრებს მიმართავენ.სოფლის ამბულატორიებში მომუშავე ექიმთა უმრავლესობა რეგიონის მკვიდრია, მაგრამ ტექნიკური აღჭურვილობის და მედიკამენტების უქონლობის გამო შეუძლებელია ვილაპარაკოთ სამედიცინო დახმარების გარანტიებზე. თუმცა, სოფლის ექიმთა უმრავლესობა სერიოზული დასაყრდენია გადაუდებელი და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის აუცილებლობისას.დაოჯახებული ქალები ექიმთან ძირითადად შვილოსნობის საკითხთან დაკავშირებით მიდიან, ფეხმძიმობის ან რეპროდუქციული პრობლემების შემთხვევაში. ამიტომ, საშუალო ასაკის ქალები ზუსტად ვერც კი იხსენებენ უკანასკნელად როდის იყვნენ ექიმთან და შვილების ასაკის მიხედვით აზუსტებენ ამ თარიღს.

ქალების უმრავლესობისთვის აბორტებზე საუბარი არასასიამოვნოა და ძირითადად მოკლე, ბუნდოვანი პასუხებით შემოიფარგლებიან: „არ ვიცი“, „ადრე უფრო ხშირი იყო, ახლა - არა“, „მე არ გამიკეთებია და სხვებისგანაც არ მსმენია“. თუმცა, ინტერვიუს მიღმა, პრივატული საუბრებიდან ირკვევა, რომ აბორტი რჩება შვილოსნობის რეგულირების მთავარ საშუალებად. ქალებში საკმაოდ გავრცელებულია გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, სახსრების და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პათოლოგიები. ფარისებრი ჯირკვლის

პათოლოგიების და სარძევე ჯირკვლების და საშვილოსნოს სიმსივნის ზრდა მაღალმთიან რეგიონებში კავშირშია იოდის დეფიციტთან, აბორტების სიხშირესთან და პროფილაქტიკური გამოკვლევების კულტურის არარსებობასთან ქალებში. ამას ემატება მძიმე ფიზიკური შრომა და არასტაბილური სიტუაციით გამოწვეული სტრესები.

გამოკითხული ქალების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არასასურველი ფეხმძიმობისგან თავის დაცვის თანამედროვე საშუალებები მათთვის ცნობილია, თუმცა პრაქტიკაში მათ მხოლოდ ახალგაზრდა დედები მიმართავენ(ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს და სპირალს), ხოლო საშუალო ასაკის ქალები იშვიათად მიმართავენ კონტრაცეფციის თანამდეროვე საშუალებებს.

განსაკუთრებით მძიმეა იმ ქალების მდგომარეობა, რომელთაც სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემა აქვს. სახელმწიფო მათთვის ორი ტიპის დახმარებას გასცემს: 1. მკვეთრად გამოხატული შშმპ-ის პენსია, რომელიც 125 ლარს შეადგენს და 2. მნიშვნელოვნად გამოხატული შშმპ-ის დახმარება, რომელიც 100 ლარს შეადგენს. ეს თანხა აბსოლუტურად არასაკმარისი და შეურაცხმყოფელია იმ ქალებისთვის, რომლების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილს, მოხუცს ან ოჯახის სხვა წევრს უვლის. გამოკითხული ქალების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ამ დახმარებების გაცემაც უსამართლოდ ხდება, რადგან სოციალურად დაუცველთა კატეგორიაში ხშირად ხვდებოდნენ ადამიანები არა მათი საჭიროებების, არამედ პოლიტიკური სიმპათიების მიხედვით.

ხანდაზმული ქალების პრობლემები შეიძლება მაღალმთიანი რეგიონების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ჩავთვალოთ. მათი უმრავლესობა, განსაკუთრებით სოფლად მაცხოვრებლები, მთლიანად დამოკიდებულები არიან სახელმწიფო დახმარებებსა და სასწრაფო დახმარების სერვისზე. თუმცა, ბევრი მათგანი აღნიშნავს, რომ სასწრაფო დახმარების მანქანა იმდენად იგვიანებს ხოლმე, რომ გადაუდებელი დახმარების აუცილებლობისას, მაინც სოფლის ექიმის ან ექთნის იმედად არიან.

6. გენდერული დამოკიდებულებები და სტერეოტიპები, ტრადიცული ნორმები, ოჯახური კონფლიქტები, ქალის მიმართ ძალადობა და ქალების ემოციური მდგომარეობა

კვლევის როგორც თვისებრივმა, ისე რაოდენობრივმა ნაწილმა აჩვენა, რომ მაღალმთიან რეგიონებში ტრადიციული გენდერული სტერეოტიპები დომინირებს, რომლებიც ხელს არ უწყობს ქალის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ქონების ფლობას, და რესურსების თავისუფლად განკარგვას. შესაბამისად, ეს აისახება საოჯახო ურთიერთობებზე და ქალების ემოციურ მდგომარეობაზე.

დიაგრამა 6.1. გენდერული დამოკიდებულებები - ვის უნდა გადაეცეს ოჯახის ქონება



გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტების უმრავლესობა აცხადებს, რომ ოჯახის მემკვიდრეობა უნდა გადაეცეს ვაჟს. ასევე, უფრო მეტი რესპონდენტი ქალი, ვიდრე კაცი აცხადებს, რომ მემკვიდრეობა თანაბრად უნდა განაწილდეს მემკვიდრეებზე (იხ. დიაგრამა

6.1). თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ მაღალმთიანი რეგიონის ოჯახების უმრავლესობა ორთაობად ცხოვრობს. ქალები და გოგონები ძირითადად მამისეულ ან ქმრის მშობლების სახლში ცხოვრობენ. მამისეული სახლის/ქონების მემკვიდრეებად ვაჟები ითვლებიან, როგორც გვარის გამგრძელებლები, გოგონები კი გასათხოვრად და მეუღლის ოჯახში საცხოვრებლად მზადდებიან: „ერთი ძმა მყავს და ყველას და ყველაფერს მირჩევნია. საერთოდ, სწორია ეგრე, რომ გოგო უნდა გათხოვდეს და წავიდეს. მარტო გოგომ თვითონ გაიკეთა კარიერა, არ გათხოვდა და ძმასთან ერთად იცხოვრა ოჯახში, ესეც მისაღები არის“. /ქალი, დასაოჯახებელი, 16 წლის/

“რომ მქონოდა წასასვლელი, წავიდოდი. მამის სახლში ხომ არ მივიდოდი ჩემი შვილებით?! ჩემს ძმას ბედს ვერ დავუკარგავ, მაგას ვერ გავაკეთებდი! ვის რაში უნდა მიბრუნებული მული, თავისი შვილებით?! მე, მაგალითად, ჩემი სახლი რომ მქონოდა, ჩემი საკუთარი სახლი, არ შევიქმნიდი პრობლემას, არავის ნერვებს არ ვაშლევინებდი და, როცა არ არი„ /ქალი, დაოჯახებული, უმუშევარი/

დიაგრამა 6.2 გენდერული დამოკიდებულებები



რაოდენობრივი კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს მთის მოსახლეობაში, როლების/ფუნქციების განაწილება ოჯახში თუ ოჯახს გარეთ, ასევე ინდივიდის ავტონომიურობა, სქესის ნიშნით მკაცრად არის განსაზღვრული [იხ. დიაგრამა 6.2]. გამოკითხულთა უმრავლესობა [69%] მხარს უჭერს იმ მეტად ტრადიციულ შეხედულებას, რომ კაცი ოჯახს გარეთ უნდა მუშაობდეს, ხოლო ქალი სახლში საოჯახო საქმეს უძღვებოდეს. რესპონდენტებს შორის დომინანტურია პოზიცია, რომლის მიხედვით კაცი უკეთ მართავს ბიზნესს, ვიდრე ქალი [55%] და იმ შემთხვევაშიც, თუ ქალს საკუთარი პირადი შემოსავალი აქვს, ფულს დამოუკიდებლად მაინც არ უნდა განკარგავდეს [54%]. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული იერარქია, სადაც ცალსახად პრიორიტეტულია კაცი, ვლინდება გამოკითხულთა უმრავლესობის პოზიციით [56%], რომელიც ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში, მხარს უჭერს ვაჟის ყოლას.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში რესპონდენტი ქალები საუბრობდნენ ქორწინების საკითხებზეც და მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების მთავარ მოტივად სიყვარულს ასახელებდნენ, ხანდაზმული და საშუალო ასაკის ქალებმა ოჯახი გარიგებით ან მოტაცებით შექმნეს. ქალებთან საუბრისას იკვეთება, რომ განქორწინება კულტურულად მიუღებელია და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში (ქალის მიმართ ძალადობა, ქმრის მიერ ცოლის ღალატი) ხდება. ქალები კვლავ მოთმინებით იტანენ პერმანენტულ კონფლიქტებს, შეურაცხყოფას და ამის მიზეზად შვილებზე ზრუნვას ასახელებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ უმამობა სერიოზული პრობლემაა მათთვის. ისინი იშვიათად საუბრობენ განათხოვარი ქალის დაბალ სოციალურ სტატუსზე, მამისეულ ოჯახში დაბრუნების შეუძლებლობაზე.კონფლიქტების მიზეზებზე ქალებს ნაფიქრი აქვთ: ზოგი სიღარიბეს ასახელებს, ზოგი რამდენიმე ოჯახის ერთად ცხოვრებას. განქორწინებას ან ოჯახიდან წასვლაზე ვერც კი ფიქრობენ, რადგან მშობლიურ ოჯახში ვერ დაბრუნდებიან, განსაკუთრებით, თუ იქ ძმის ოჯახი ან დაუოჯახებელი ძმა ცხოვრობს.

“არ იყო სვანეთში ოჯახის დანგრევის ტრადიცია და... სულ ვფიქრობდი, რომ დღეს არა ხვალ წავალ და ასე... ძაან უდარდელი, უპასუხისმგებლო აღმოჩნდა ის და ვფიქრობდი, რომ დღეს არა ხვალ გამოსწორდება და ესე გავიდა წლები..” /ქალი, განქორწინებული, 34 წლის/

“თვითონ ფაქტი განქორწინების ხშირი არ არის, მაგრამ არამდგრადი, ფაქტიურად, დაშლილი ოჯახები ბევრია, თანაც ისეთი, რომ ჯობია არ იყოს.” /ქალი, უმუშევარი, დაუოჯახებელი, 28 წლის/

მოტაცებაზე, როგორც ქორწინების დღემდე გავრცელებულ ტიპზე, საუბრისგან ქალებიც და გოგონებიც თავს იკავებენ, რადგან თავად ისინი მას „ჩამორჩენილობად“ და ველურობად მიიჩნევენ. ამიტომ ურჩევნიათ თქვან, რომ ამ გზით ოჯახები ადრე უფრო იქმნებოდა, ხოლო ახლა ძირითადი მოტივი სიყვარულია. თუმცა, საუბრებისას ირკვევა, რომ რაოდენობის კლების მიუხედავად, მოტაცების პრაქტიკა გავრცელებულია მთიანეთში და კულტურული ნორმებით (ნათესავებს შორის შეთანხმება და შერიგება) რეგულირდება. ქალები და გოგონები ამ პრაქტიკას ვერაფერს უპირისპირებენ, რადგან ისინი ეკონომიკურად, ემოციურად მთლიანად დამოკიდებულები არიან მშობლებზე და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების, პროტესტის საშუალება არ აქვთ. არც, გამბედაობა არ ჰყოფნით საიმისოდ, რომ ამ დისკრიმინაციულ პროცესს რამე დაუპირისპირონ.

მიუხედავად იმისა, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში რაიონულ ცენტრებში ან სოფლად მცხოვრები ქალების უმრავლესობამ თავის თავზე აიღო შვილების, ოჯახის რჩენის ფუნქცია, ისინი ეკონომიკურ დონორად მაინც მამაკაცს მიიჩნევენ და მათ ამჟამინდელ მდგომარეობას ნორმად არ აღიქვამენ. თუმცა, საუბრობენ იმაზე, რომ ქალის ეკონომიკური გააქტიურება აუცილებელია თანამედროვე საქართველოში, რადგან მოთხოვნილებები იზრდება და მათი შენატანი საჭირო და აუცილებელია ოჯახისთვის.ქალებიც და გოგონებიც დადებითად აფასებენ ქალის პოლიტიკურ აქტიურობას, რადგან მიაჩნიათ, რომ ქალები უფრო წინდახედულები, ფრთხილები, დიპლომატიურები და უფრო მაღალი სოციალური მგრძნობელობა აქვთ, ამიტომ მათი ჩართვაპოლიტიკურ პროცესებში პოლიტიკას უფრო სამართლიანს და ჰუმანურს გახდის.

ქალები ძალიან ერიდებიან ოჯახურ კონფლიქტებზე, ოჯახში ძალადობაზე საუბარს, რადგან მიაჩნიათ, რომ საკუთარი პრობლემების გარეთ გამოტანით ისინი მხოლოდ „საჭორაო მასალას“ მისცემენ მსმენელს და იშვიათად აქვთ გულწრფელი თანაგრძნობის და დახმარების იმედი. თუმცა, მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „გაზიარება“ ეს ადამიანის ფუნდამენტური

მოთხოვნილებაა და რომ არა მეგობრები, თანამშრომლები, ვისთანაც დარდის დავიწყების, გამოთქმის საშუალება ეძლევათ, მათი ცხოვრება ბევრად გაუსაძლისი იქნებოდა.

ქალების მესაიდუმლეები ძირითადად მეგობარი ქალები ან ქალიშვილები არიან. ძალიან ცოტა ქალი ასახელებს მეუღლეს, როგორც ემოციურ მხარდამჭერს და მრჩეველს.გოგონები საკუთარი პრობლემების, ემოციური დაძაბულობის გასაზიარებლად ძირითადად უახლოეს მეგობარს მიმართავენ და იშვიათად ოჯახის რომელიმე წევრს.

ოჯახური კონფლიქტების ძირითად მიზეზად ქალები ეკონომიკურ სიდუხჭირეს და მეუღლის საერთო საოჯახო ან შვილების პრობლემების მიმართ უპასუხისმგებლობას ასახელებენ. ამასვე მიიჩნევენ ქალების შრომითი მიგრაციის მთავარ ფაქტორად.საკუთარი, ძალადობრივი გამოცდილების შესახებ საუბარს ქალების უმრავლესობა ერიდება. თუმცა, ამ პრობლემაზე საუბრის მომენტში მათი დაძაბულობა ან აღელვება საკმაო საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ მათ სერიოზული ფსიქოლოგიური და ემოციური ტრავმები აქვთ მიღებული წარსულში ან ამჟამადაც განიცდიან ჩაგვრას და შევიწროებას.

თაობებს შორის კონფლიქტის მთავარ გმირებს რძალ-დედამთილი, ვაჟი და მამა, რძალ-მული წარმოადგენენ და იშვიათად დედა და ქალიშვილი ან შვილიშვილი და პაპა-ბებია. ასევე იშვიათია და-ძმას შორის კონფლიქტი, რადგან დების უმრავლესობისთვის ძმა და მისი კეთილდღეობა უკიდურესად მნიშვნელოვანია. რძლები ერიდებიან ერთმანეთს შორის დაძაბულობას და ძირითადად მეუღლეებს „ანდობენ“ სადაო საკითხების მოგვარებას. თუმცა, თუ მამისეულ სახლში ორი რძალია, მაშინ ოჯახები შეძლებისდაგვარად ცდილობენ გაყოფას, რადგან თანაცხოვრება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია.

გამოკითხული ქალების უმრავლესობა, მათი ქორწინების ან სოციალური სტატუსის მიუხედავად, თავს ბედნიერად არ მიიჩნევს, რადგან აქვთ მარადიული, პერმანენტული შფოთვა შვილების გამო: თუ შვილები სწავლობენ და შორს არიან, ეს ქალებისთვის დისკომფორტულია, ხოლო თუ მათთან ცხოვრობენ, მაშინ უკვე შვილების მომავლი და უპერსპექტივობა აღელვებთ. მშობლების/დედების დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ

ქალაქში წასული და წარმატებული შვილები უკან აღარ დაბრუნდებიან და რომ ისინი განწირულნი არიან მარტოობისთვის მაშინ, როცა მოვლა და ზრუნვა დასჭირდებათ.

გამოკითხული გოგონების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ რაიონში, სოფელში არაფერია ისეთი (საგანმანათლებლო კერა, გასართობი ან განვითარებისთვის აუცილებელი დაწესებულება), რაც აუცილებლობით გამოიწვევს მათ უკან დაბრუნებას. გარდა ამისა გოგონები გრძნობენ კულტურული ნორმების სიმკაცრეს სწორედ გოგონებისთვის და მშობლიური ოჯახიდან, რაიონიდან, სოფლიდან წასვლას აღიქვამენ, როგორც თავისუფლების მაღალ ხარისხს და ახალ, საინტერესო შესაძლებლობას პიროვნული განვითარებისათვის.

მაღალმთიანი რეგიონების ქალთა უმრავლესობისათვის უცნობია სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, პროგრამები და სტრატეგიული ხედვები, რომლებიც ამ რეგიონთა პრობლემების მოგვარებასა და განვითარებაზეა მიმართული. ეს ეხება როგორც ადგილობრივ თვითმმართველობებს, ასევე საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს. მათ ასევე არ იციან, რომ აქვთ უფლება იცოდნენ ან მოითხოვონ ამ პროგრამების, რეგიონის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია და ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს ვალდებულება გააცნოს მათ ეს ინფორმაცია.

7. რეკომენდაციები

ა) რეკომენდაციები ქალთა სოციო-ეკონომიკური გაძლიერებისთვის

- საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა მცირე და საშუალო ბიზნესის დაგეგმვაში, მართვასა და ადმინისტრირებაში;
- საგრანტო პროგრამების შემუშავება ქალების ხელმძღვანელობით საინიციატივო ჯგუფების/ორგანიზაციების ჩამოსაყალიბებლად, რომელთა მიზანია მთის ქალებისგასაძლიერებლად სოციალური ცვლილებების ადვოკატირება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში;
- საგრანტო პროგრამების შეთავაზება სოფლის მეურნეობაში, ადგილობრივი წარმოების განვითარებაში ქალთა ბიზნეს-აქტივობების მხარდასაჭერად;
- სამომხმარებლო კრედიტის ნაცვლად ბიზნეს კრიედიტის წახალისება. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისთვის, რადგან წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ უძრავი ქონების მფლობელები უპირატესად მამაკაცები არიან. შესაბამისად, ქალები მოკლებულნი არიან საშუალებას უძრავი ქონება გამოიყენონ როგორც ბიზნეს სესხის უზრუნველყოფა;
- ახალგაზრდებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო/საზოგადოებრივი ცენტრების გახსნა;
- საყოველთაო დაზღვევის შესახებ ცნობიერების ამაღლება და ხელმისაწვდომობის გაზრდა; კვლევამ აჩვენა, ჯანმრთელობის არსებული პრობლემების მიუხედავად რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი [13%] აღნიშნავს, რომ არის ნამყოფი ექიმთან უკანასკნელ ხანებში. ამასთანავე, სატრანსპორტო ინფრასრუქტურა და ადგილმდებარეობა მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს გადაადგილებისთვის. ასეთ პირობებში, კვალიფიციური სამედიცინო კონსულტაციის ხელმისაწვდომობა მთის რეგიონის რაიონულ ცენტრებში და სოფლებში, ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას;
- ენერგომომარაგების პრობლემის გადაჭრა - რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 92% თბება შეშით, მხოლოდ 6% თბება გაზის გამათბობლით. ასეთ

პირობებში, მნიშვნელოვანია ბუნებრივ გაზზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ან ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა ენერგომამრაგების უზრუნველყოფისთვის.

ბ) რეკომენდაციები გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრისთვის

- ადგილობრივი ქალებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ქალებზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის მოწოდების მიზნით;
- ქალების ხელმძღვანელობით საინიციატივო ჯგუფების/ორგანიზაციების ხელშეწყობა, რეგიონალურ ცენტრებსა და სოფლებში გენდერული ცნობიერების ასამაღლებლად;
- ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მხარდაჭერა მთაში მოსახლე ქალებისთვის გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაში;
- ადგილობრივი ქალების ფინანსური მხარდაჭერა მუდმივმოქმედი საგანმანათლებლო ცენტრების გახსნისა და არსებულ საგანმანათლებლო ქსელებსა თუ კოალიციებში გაწევრიანების მიზნით;
- ქალთა პოლიტიკური გაძლიერების მხარდასაჭერა - უნარების განვითარება ადგილობრივი ქალების პოლიტიკური მონაწილეობის გასაზრდელად და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. პოლიტიკური პარტიების წახალისება ქალების პოლიტიკური აქტიურობის გაზრდისთვის.

8. ბიბლიოგრაფია

1. კავკასიის ბარომეტრი, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 2012

2. გასმანი ფ. *et al,* „ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობა საქართველოში“, გაეროს განვითარების პროგრამა, 2013

3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საარსებო მინიმუმი, ნოემბერი 2013

4. Caerphilly Health & Social Needs Study, Gwent Health Authority Caerphilly County Borough Council, 2003